



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 21 თებერვალი, 2013 წელი

დრო: 10:00 – 12:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
3. ნაზი ჯანუაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
7. ნათია აბრამია - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
8. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
9. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
10. ლევან ავალიშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
11. მამუკა ყუფარაძე - სტუდია "რე"
12. ლაშა გოგიძე - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
13. მიხეილ მირზიაშვილი - კრიზისების მართვის ინიციატივა
14. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
15. ეკა ურუშაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
16. მარინა სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი "ლეა"
17. ეკა ფოფხაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
18. თემურ თორდინავა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
19. თამარ ხორბალაძე - ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი

განსახილველი საკითხები

1. ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია
2. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროექტი
3. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტი
4. პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაციები

შეხვედრის პირველ ნაწილში საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილეს ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენლის ინფორმაციით, ევროინტეგრაციის სამინისტროს თხოვნით ფონდმა დაიწყო აღნიშნულ სტრატეგიაზე მუშაობა, მოიძია მონიტინგროს, ბოსნიის, ხორვატიისა და მოლდოვის მსგავსი დოკუმენტები, მათზე დაყრდნობითა და საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შექმნა სტრატეგიის სამუშაო ვერსია 2013-2016 წლებისთვის. ფონდის წარმომადგენელმა დამსწრეებს მოკლედ გააცნო დოკუმენტის შინაარსი, მისი მიზნები, მიდგომა და ძირითადი გზავნილი, ინფორმაცია სამიზნე ჯგუფების, პარტნიორების, დაფინანსების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. მოხსენების დასრულების შემდეგ, დამსწრეებმა წარმოადგინეს თავიანთი შენიშვნები, მოსაზრებები და წინადადებები. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენლის თქმით, დოკუმენტის განხილვა იგეგმება ასევე მედია კოალიციის წევრებთან. საკონსულტაციო შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნების, პლატფორმის წევრების და თანაკოორდინატორების მიერ შემოთავაზებული კომენტარების გათვალისწინებით დამუშავებული დოკუმენტი წარედგინება ევროინტეგრაციის სამინისტროს. სამინისტრო მოწვეულ უცხოელ ექსპეტთან ერთად კიდევ ერთხელ გადახედავს აღნიშნულ დოკუმენტს და სტრატეგიის საბოლოო ვარიანტს დაამტკიცებს სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

შეხვედრის მეორე ნაწილში საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტზე, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და რომელშიც ჩართულია ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო. პროექტის მთავარი აპლიკანტი არის რეგიონალური გარემოს დაცვის ცენტრი მოლდოვა, მისი ხანგრძლივობა ორწელიწადნახევარია და ითვალისწინებს აქტივობებს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის მონაწილეობით. უკვე გაწერილია ერთი წლის მანძილზე ეროვნულ დონეზე განსახორციელებელი აქტივობები. ფონდის წარმომადგენლის თქმით, რეგიონალურ დონეზე გამოყოფილია საკმაოდ მცირე რესურსი, თუმცა მანევრირების საშუალება ამ მიმართულებით გაცილებით დიდია. მიმდინარე წლის 25 თებერვალს კიევში გაიმართება შეხვედრა, სადაც საკოორდინაციო საბჭო განხილავს აღნიშნულ პროექტს. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენელი

მონაწილეობას მიიღებს შეხვედრაში და ექნება შესაძლებლობა დამსწრეებს გააცნოს ის აქტივობები, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს რეგიონალურ დონეზე საქართველოს ინიციატივით.

მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ჯგუფს აქვს იდეა ჩატრდეს ორი საერთო კონფერენცია: ერთი ენერგეტიკულ დერეფნებზე, იმაზე თუ როგორია არასამთავრობო სექტორის კუთხით დანახული ენერგეტიკული დერეფნები, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ხოლო მეორე - გლობალური კლიმატის ცვლილებებზე, არსებულ გამოწვევებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე. პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, კარგი იქნება ასევე საერთო კონფერენციის ორგანიზება არჩევნების თემაზე, მსჯელობა არსებულ გამოწვევებზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება. საერთაშორისო ფონდი "ლეა"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა მომზადდეს კვლევა რეგიონალური კანონმდებლობის გადახედვასთან დაკავშირებით. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, ეროვნულ დონეზე განსახორციელებელ აქტივობებში არაფერია ნათქვამი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. კარგი იქნება თუ რეგიონალურ დონეზე ჩატარდება კონფერენცია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის, იმისათვის რომ ჰარმონიზაციაში იქნეს მოყვანილი კანონმდებლობა. კონფერენციის ერთ-ერთი თემა შესაძლებელია იყოს მეწარმე ქალთა როლის გაძლიერება. თანაკოორდინატორმა ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ სოციალური დიალოგის კუთხით მოლდოვური გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყობა სასწავლო ვიზიტი მოლდოვაში. პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკის მონიტორინგი. ამისათვის კი საჭიროა ეროვნულ პლატფორმებს ჰქონდეთ გარკვეული სტანდარტებით, რომლითაც მოხდება მათი ჩართვა მონიტორინგის პროცესში.

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენელი აზრით, კარგი იქნება თუ შეხვედრაზე განხილულ იდეებს თანაკოორდინატორები დაამუშავებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სხვა კოორდინატორებთანაც იმისათვის, რომ იდეას უფრო მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ზემოთ დასახელებულ წინადადებებს, ასევე სხვა იდეებს თანაკოორდინატორები ორშაბათამდე წერილობით მიაწვდიან ფონდის წარმომადგენელს.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროექტზე, რომელიც 1 თებერვლიდან ამოქმედდა, თუმცა ევროკავშირის შიდა ტექნიკური ხარვეზის გამო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო პირველადი თანხა მხოლოდ 19 თებერვალს გადმოირიცხა. პროექტის მთავარი აპლიკანტი არის ლიბერალური აკადემია თბილისი, ხოლო პარტნიორები არიან: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სახის აქტივობები: ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობების გაძლიერება, რაც გულისხმობს პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისთვის

ტრენინგების ჩატარებას. ტრენინგები გათვალისწინებულია ასევე რეგიონალურ პროექტში, ამიტომ საჭიროა მათი დროში სწორად გადანაწილება; პლატფორმის ქსელის გაძლიერება, რომელიც მოიცავს შეხვედრებს მთავრობის წამომადგენლებთან. ამ შემთხვევაში საჭიროა სამუშაო ჯგუფებმა წარმოადგინონ ის საკითხები და მიმართულებები, რაზეც მათ სურთ შეხვედრები დარგობრივ სამინისტროებთან. გათვალისწინებულია ასევე მონიტორინგის ანგარიშების მომზადება, რომელთა ნაწილი უკვე გაწერილია პარტნიორ ორგანიზაციებზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის უნდა მომზადდეს ჩრდილოვანი ანგარიში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. დასაწყებად მოსამზადებელი სამუშაოები, უნდა მოხდეს შეთანხმება მეთოდოლოგიაზე და თემებზე, ჯგუფებმა უნდა აირჩიონ ის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დოკუმენტის შემუშავებაში. პროექტით გათვალისწინებულია ჰონორარები ექსპერტებისთვის. პროექტში ჩადებულია ასევე რადიო და ტელეგადაცემების მომზადება, ბიულეტენების გამოშვება, საინფორმაციო ვიზიტები საქართველოს 4 რეგიონში. მარტში მზად უნდა იყოს ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად იქნება გაწერილი თუ როდის, როგორ და რა მეთოდოლოგიით განხორციელდება ესა თუ ის აქტივობა.

პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში ლიბერალურ აკადემია თბილისს აღებული აქვს ვალდებულება ჩაატაროს ტრენინგი პიარში. ორგანიზაციამ უკვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, შედგენილია კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მოხდება საჭიროებების დადგენა და შეფასება. აღნიშნული კითხვარი უახლოეს მომავალში დაიგზავნება პლატფორმაში. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან ტექნიკური საკითხების დასამუშავებლად.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების აპლიკაციები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა ოთხი ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. ახალგაზრდები სამართლიანობისთვის - საქართველო
2. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
3. ასოციაცია "ფსიქეა"
4. ჟურნალისტური კვლევის ცენტრი

პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემდეგი კვირიდან აქტიურ მუშაობას დაიწყებს წესდებაზე მომუშავე კომისია. შესაბამისად, გადაწყდა, რომ ახალი წესდების შემუშავებამდე დროებით შეჩერდება პლატფორმაში წევრების მიღების პროცესი.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია